

ფ ა ლ ა ვ ა ნ თ ა ნ ა კ რ ე ბ ი

ავტორ-შემდგენელი
გაბრიელ ბარჯაძე

შპს “საჩინო“

ISBN

თბილისი, 2022 წელი

წიგნი დაიბეჭდა საქართველოს ჭიდაობის განვითარების ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით

შესავალი

უძველეს ადამიანს მართალია არ ყავდა მწვრთნელი, მაგრამ ცხოვრება თავისი მკაცრი კანონებით მისი სკოლა და პირველი მასწავლებელი იყო. ჭიდაობაც იმ პერიოდში წარმოიშვა. სავარაუდოდ ჭიდაობა ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებამდეც არსებობდა - უძველესი ცივილიზაციის კერებში.... ჭიდაობას ჯერ კიდევ შუმერების დროსაც კარგად იცნობდნენ. მესოპოტამიაში ნაპოვნია ძვ. წ. მე-3 ათასწლეულის ქანდაკებები.

მოჭიდავეთა შეჯიბრებებზე დამარცხებულად ითვლებოდა, ის, ვინც სამჯერ შეეხებოდა სარბიელს ბეჭებით ან ზურგის სხვა რომელიმე ნაწილით. წონით კატეგორიებად დაყოფა მაშინ არ არსებობდა. 708 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჭიდაობა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო შეტანილი. საბერძნეთის შემდეგ, ჭიდაობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი რომშიც, ხოლო მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, დიდი ენთუზიაზმით დაიწყო ჭიდაობის ფორმირება საფრანგეთში, ამიტომ თანამედროვე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას ჯერ ბერძნულს უწოდებდნენ, შემდეგ ბერძნულ-რომაულს, ფრანგულს, კლასიკურს და 1991 წლიდან ისევ ბერძნულ-რომაულს.

თანამედროვე თავისუფალ ჭიდაობას კი ინგლისურ-ამერიკულსაც უწოდებდნენ.

ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის განვითარებაში თავისი წვლილი შეჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ტრადიციულ, ხალხურ ჭიდაობებს.

თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე 1896 წელს ათენში, პროგრამაში შეიტანეს ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, სადაც ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს:

კარლ შუმანმა (გერმანია)

გიორგიოს ცირასმა (საბერძნეთი)

სტეფანოს ხრისტოპულოსმა (საბერძნეთი).

ერთი წონით კატეგორიაში, მაშინ 4 ქვეყნის 5 მოჭიდავე ასპარეზობდა. კარლ შუმანი ჭიდაობის გარდა, ჩემპიონი ვახდა ტანვარჯიშულ ხტომაში და პრიზიორი - ძალოსნობაში. სხვათა შორის პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძეც (თავისუფალი ჭიდაობა) ერთ დროს ტანმოვარჯიშე იყო...

1912 წელს შეიქმნა ჭიდაობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია -FILA, რომელსაც 2014 წლის 7 სექტემბერს ეწოდა ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანება -UWW. გაერთიანებულ ფედერაციაში 2006 წლიდან ბერძნულ-რომაულის და თავისუფალი ჭიდაობის გარდა შედის: გრეპლინგი, პანკრატიონი, ქვიშის ჭიდაობა, შერეული ორთაბრძოლა და ეთნოსპორტი - სხვადასხვა ხალხების ტრადიციული ჭიდაობები.

1912 წელს თუ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა, იმავე წლის 20 დეკემბერს, თბილისში ბესარიონ ბელინსკის ქუჩაზე N 41-ში პეტრე მარღანიძემ გახსნა - „ათლეთური არენა“ (ფრანგული ჭიდაობა, კრივი, ძალოსნობა). მანამდე თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში დროებით ხის ცირკებში მრავალი მაყურებლის თანდასწრებით, ქართული ჭიდაობის გარდა, უკვე ეწყობოდა შეჯიბრებები პროფესიულ ფრანგულ (ბერძნულ-რომაულ) ჭიდაობაში, ჩვენი სახელოვანი ფალავნების მონაწილეობით. პეტრე მარღანიძის მოყვარულთა წრემ 1926 წელს გამართა თბილისისა და ამიერკავკასიის პირველობები, 1928 წელს საქართველოს სპორტაკიადა. 1929 წელს საქართველოს პირველ ჩემპიონატზე თბილისში გამოდიოდა 34 სპორტსმენი. 14 -თბილისიდან, 9 -ბათუმიდან, 5 -ქუთაისიდან, 3 -სოხუმიდან, 3 -ოზურგეთიდან.

დღეს ჭიდაობა საქართველოს სპორტის ლიდერია. ყველაზე მეტი წარმატება ჩვენს ქვეყანას, სწორედ ჭიდაობაში აქვს მოპოვებული.

1904 წლის 23 მაისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში დაიწყო პირველი ოფიციალური მსოფლიოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ამიტომ ეს თარიღი (23 მაისი) დაწესდა, როგორც ჭიდაობის საერთაშორისო დღე. თუმცა ჩინელებს ათასწლეულების წინათ ქონდათ „ჭიდაობის დღეები“...

გამოჩენილი მწვრთნელის ვახტანგ კუხიანიძის ხელმძღვანელობით, 1944 წლის შემოდგომაზე, თბილისში ჩატარდა თავისუფალი ჭიდაობის მწვრთნელთა შეკრება, სადაც გადაწყდა, რომ საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი ჩატარებულიყო 1945 წელს, ლენინგრადში (სანკტ პეტერბურგში). პირველ ჩემპიონატზე შეიდი წონითი კატეგორიიდან ოთხში საქართველოს წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. საბჭოთა კავშირი, რომელიც 1922 წლის 3 დეკემბერს დაარსდა, ოფიციალურად 1991 წლის 25 დეკემბერს დაიშალა. სსრკ ჩემპიონატებს ვერ წავშლით, ეს ისტორიაა, სპორტის ისტორია...

პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ზაფხულის მეთხუთმეტე ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში - 1951 წელს ჩატარდა. 10 წლის შემდეგ - 1961 წლიდან კი ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატები ყოველწლიურად ტარდება ოლიმპიური წლის გარდა.

1924 წლიდან ჭიდაობის ხანგრძლივობა იყო - 40 წუთი, 1928 წლიდან - 20, 1950 წლიდან -15, 1957 წლიდან -12, 1981 წლიდან - 6. 1997 წლიდან, შეხვედრები 5 წუთს ვრძელდებოდა. უმთავრესი ის იყო, რომ ჭიდაობა ყოველთვის ემსახურებოდა ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას...

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტები:

1912 – 1924 წლები - ბინარ რაბერგი -შვედეთი
1924 –1930 წლები - ალფრედ ბრიული - უნგრეთი
1930 – 1952 წლები - ვიქტორ სმედსი - ფინეთი
1952 – 1971 წლები - როჟე კულონი - საფრანგეთი
1971 – 2002 წლები - მილან ერცევანი - იუგოსლავია
2002 – 2013 წლები - რაფაელ მარტინეტი - შვეიცარია
2013 წლიდან - ნენად ლალოვიჩი -სერბეთი


საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტები:

1991-1993 წლები - რომან რურუა ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
1991-1993 წლები - მურმან ომანიძე თავისუფალი ჭიდაობა
1993-1994 წლები - გურამ გედეხაური
1994-2000 წლები - დავით გობეჯიშვილი
2000-2004 წლები - ვოჩა ძასოხოვი
2004-2005 წლები - ბაკურ ვოგიტიძე
2005-2012 წლები - კახა გენაძე
2012-2014 წლები - ლუკა (ელდარი) კურტანიძე
2014-2016 წლები - მანუჩარ კვიციანი
2016 წლიდან - თამაზ (გევა) გეგეშიძე

ზაფხულის ოლიმპიური თამაშები

- 1896 წელი I ათენი (საბერძნეთი)
1900 – II პარიზი (საფრანგეთი)
1904 – III სენტ ლუისი (აშშ)
1908 – IV ლონდონი (დიდი ბრიტანეთი)
1912 – V სტოკჰოლმი (შვედეთი)
1916 – VI ბერლინი (გერმანია) არ გამართულა პირველი მსოფლიო ომის გამო
1920 – VII ანტვერპენი (ბელგია)
1924 – VIII პარიზი (საფრანგეთი)
1928 – IX ამსტერდამი (ნიდერლანდები)
1932 – X ლოს-ანჯელესი (აშშ)
1936 – XI ბერლინი (გერმანია)
1940 – XII ჰელსინკი (ფინეთი) არ გამართულა მეორე მსოფლიო ომის გამო
1944 – XIII ლონდონი (დიდი ბრიტანეთი) არ გამართულა მეორე მსოფლიო ომის გამო
1948 – XIV ლონდონი (დიდი ბრიტანეთი)
1952 – XV ჰელსინკი (ფინეთი)
1956 – XVI მელბურნი (ავსტრალია)
1960 – XVII რომი (იტალია)
1964 – XVIII ტოკიო (იაპონია)
1968 – XIX მეხიკო (მექსიკა)
1972 – XX მიუნხენი (გერმანია)
1976 – XXI მონრეალი (კანადა)
1980 – XXII მოსკოვი (სსრკ)
1984 – XXIII ლოს-ანჯელესი (აშშ)
1988 – XXIV სეული (კორეა)
1992 – XXV ბარსელონა (ესპანეთი)
1996 – XXVI ატლანტა (აშშ)
2000 – XXVII სიდნეი (ავსტრალია)
2004 – XXVIII ათენი (საბერძნეთი)
2008 – XXIX პეკინი (ჩინეთი)
2012 – XXX ლონდონი (დიდი ბრიტანეთი)
2016 – XXXI რიო-დე-ჟანეირო (ბრაზილია)
2020 – XXXII ტოკიო (იაპონია) – COVID 19 პანდემიის გამო, ოლიმპიური თამაშები 2020 წლის ნაცვლად ჩატარდა 2021 წლის 23 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით.

ბერძნულ-რომაული
ფილოსოფია



გივი კარტოზია (1929-1998)

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1929 წლის 29 მარტს,
ბათუმში.

ოლიმპიური ჩემპიონი - 1956
წელი.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი
-1953-1955-1958 წწ.

ოლიმპიური თამაშების პრიზიორი
- 1960 წელი, მე-3 ადგილი.

მსოფლიოს თასის მფლობელი -
1956 წელი.

სამჭოთა კავშირის ოთხგზის
ჩემპიონი - 1952-1953-1954-1955
წწ.

სტუდენტთა მსოფლიოს თამაშების გამარჯვებული - 1951 წელი.

ახალგაზრდობის მსოფლიოს ფესტივალის გამარჯვებული - 1953
წელი.

პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი-1953 წელი, 20 აპრილი.
ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ორდენის კავალერი
(გარდაცვალების შემდეგ)

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ვერცხლის
პრიზი).


ღირსების ორდენოსანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

თბილისის სპორტის სასახლეს 2001 წელს ეწოდა გივი კარტოზიას
სახელი. 2006 წელს გამომცემლობა „ისინდმა“ გივი კარტოზიაზე
გამოსცა წიგნი - „ფალავანთა ფალავანი“.

თბილისში საბურთალოს რაიონში არის ქუჩა, რომელიც გივი
კარტოზიას სახელს ატარებს.

წონა: 79 კილოგრამი

მწვრთნელები: ლეონიდ ძეკონსკი, გიორგი ვარძელაშვილი



**ავთანდილ ქორიძე (1935-
1966) ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

დაიბადა 1935 წლის 15 აპრილს, თბილისში.

ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი -1960 წელი.

მსოფლიოს ჩემპიონი - 1961 წელი.

„ადრიატიკის თასის“ მფლობელი - 1959 წელი.


ახალგაზრდობის საერთაშორისო სპორტული ფესტივალის გამარჯვებული -1957 წელი.

საბჭოთა კავშირის სამგზის პრიზიორი - 1957 წელი მე-2 ადგილი, 1958 წელი მე-3 ადგილი, 1960 წელი - მე-2 ადგილი.

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

წონა: 67 კოლოგრამი

მწვრთნელი: პეტრე იორდანიშვილი



რომან რურუა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1942 წლის 25 ნოემბერს მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში.

ოლიმპიური ჩემპიონი - 1968 წელი.

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი - 1966, 1967, 1969, 1970 წწ.

ოლიმპიური პრიზიორი - 1964 წელი, მე-2 ადგილი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტაკადემიის სამგზის ჩემპიონი - 1963-1967-1971 წწ.

საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი - 1964-1965-1970 წწ.

პოლუბნის სახელობის საერთა-შორისო ტურნირის გამარჯვებული - 1966 წ.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ორდენის კავალერი.

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი - 1984-1985 წწ.

ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის დიდების დარბაზის წევრი.

საბჭოთა კავშირის ბერძნულ-რომაული სტილის ნაკრების მწვრთნელი 1984-1987 წწ.

ქართველ ოლიმპიელთა ასოციაციის პრეზიდენტი.

სპორტის რაინდი. ღირსების ორდენოსანი.

საქართველოს პარლამენტის წევრი 1999-2004 წწ.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი 1991-1993 წწ. (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

მცხეთაში გახსნილია რომან რურუას ვარსკვლავი.

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

2012 წელს გამოვიდა რომან რურუას წიგნი - „ქალამნებიდან ჩემპიონობამდე და კიდევ...“

წონა 62-63-68 კოლოგრაში.

მწვრთნელები: ნერსეს აკოფოვი, ილია ჩხარტიშვილი



ვახტანგ ბლაგიძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1954 წლის 23 ივლისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში.

ოლიმპიური ჩემპიონი - 1980 წელი.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი - 1978-1981 წწ.

ევროპის ორგზის ჩემპიონი - 1978-1980 წწ.

მსოფლიოს თასის მფლობელი - 1982 წელი.

მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი - 1977 წელი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი - 1981 წელი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა

სპარტაკიადის პრიზიორი - 1979 წელი, მე-3 ადგილი.

საბჭოთა კავშირის ორგზის პრიზიორი - 1976 წელი მე-2 ადგილი, 1980 წელი მე-3 ადგილი.

გერმანიის, ბულგარეთის, შვედეთის, ავსტრიის, ფინეთის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ორდენის კავალერი.


ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის წევრი, სპორტის რაინდი. 2013 წელს ოზურგეთში გაიხსნა ვახტანგ ბლაგიძის ვარსკვლავი.

ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი.

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

წონა: 52 კილოგრამი

მწვრთნელები: აკაკი თავართქილაძე, ჯემალ მეგრელიძე.



მანუჩარ კვირიკველია
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1978 წლის 12
ოქტომბერს ოზურგეთში.
ოლიმპიური ჩემპიონი - 2008
წელი.
მსოფლიოს ჩემპიონი -2003
წელი
ევროპის ჩემპიონი - 2007
წელი
მსოფლიოს ორგზის პრიზიორი
- 2002 წელი მე-2 ადგილი, 2006
წელი მე-3 ადგილი.
მრავალი საერთაშორისო
ტურნირების გამარჯვებული და
პრიზიორი.

საქართველოს პარლამენტის წევრი - 2020 წელი.
სპორტის რაინდი.
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი
2014-2016 წწ,
ღირსების ორდენოსანი.
ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი.
წონა: 66, 74 კილოგრამი
მწვრთნელები: გურამ მაჭარაშვილი, ბეგი დარჩია.



როსტომ აბაშიძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1935 წლის 23 თებერვალს, ბათუმში.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი - 1958 -1962-1963 წწ.

საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი - 1957-1960-1962 წწ.

ახალგაზრდობის მესამე საერთაშორისო სპორტული ფესტივალის გამარჯვებული 1957 წელი.

პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი -1964 წელი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი -1956 წელი, მე-3 ადგილი.

საბჭოთა კავშირის ორგზის პრიზიორი -1956 წელი -მე-3 ადგილი, 1958 წელი - მე-3 ადგილი.

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი - 1975-1976 წწ.

2015 წლის 20 თებერვალს თბილისში „ფალავანთა კლუბის“ წინ გაიხსნა როსტომ აბაშიძის ვარსკვლავი.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ორდენის კავალერი. სპორტის რაინდი.

ოთხი წელიწადი ხელმძღვანელობდა აჭარის ჭიდაობის ფედერაციას.

საპატიო ნიშნის ორდენოსანი.

ღირსების ორდენის კავალერი.

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

წონა: 87,97 კილოგრამი

მწვრთნელები: აკაკი მიმინოშვილი, გიორგი როსტიაშვილი, პეტრე იორდანიშვილი.



მიხეილ სალადე

ბერძნულ-რომაული ტიდაობა

დაიბადა 1953 წლის 5 დეკემბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთაში.

მსოფლიოს ჩემპიონი - 1981 წელი.

მსოფლიოს თასის მფლობელი - 1981 წელი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტაკადემიის ჩემპიონი - 1979 წელი.

საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი - 1977-1979-1980-1982 წწ.

მსოფლიოს უნივერსიადის ორგზის გამარჯვებული-1973-1981 წწ.

მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდების შორის-1973 წელი.

ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდების შორის-1974 წელი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტაკადემიის პრიზიორი - 1983 წელი მე-2 ადგილი.

საბჭოთა კავშირის სამგზის პრიზიორი - 1973 წელი მე-2 ადგილი, 1977 წელი მე-2 ადგილი, 1983 წელი მე-2 ადგილი.

საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელი -1973-1976 წწ.

ევროპის თასის მფლობელი - 1973 წელი.

პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნისის ორგზის გამარჯვებული - 1978-1980 წწ.

ევროპის „დინამოს“ თასის მფლობელი - 1973 წელი.

შვედეთის (კლიპანის) თასის მფლობელი -1978 წელი.

რაიკო პეტროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირის სამგზის გამარჯვებული-1975-1976-1978 წწ.

გივი კარტოხიას სახელობის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებული - 1972-1974 წწ.

იტალიის „დიდი პრიზის“ მფლობელი - 1973 წელი.

„ადრიატიკის თასის“ ორგზის გამარჯვებული - 1976-1977 წწ.

ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი.

ღირსების ორგზის ორდენოსანი.

სპორტის რაინდი

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ორდენის კავალერი.

გადაღებულია მხატვრულ ფილმში „ხარება და გოგია“ -1987 წელი-
მედეუქნე ილო მებურიშვილი.

პოლიციის გენერალ-მაიორი

სპორტის დამსახურებული ოსტატი

წონა: 100 კილოგრამი

მწვრთნელი: ვლადიმერ მაისურაძე.



თეიმურაზ აფხაზავა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1955 წლის 21 აპრილს ზუგდიდში.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი - 1982-1983 წწ.

ევროპის ორგზის ჩემპიონი - 1983-1984 წწ.

მსოფლიოს სუპერ თასის მფლობელი - 1985 წელი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი - 1984 წელი.

მსოფლიოს თასის მფლობელი - 1985 წელი.

„მეგობრობის“ საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებული - 1984 წელი.

ევროპის ორგზის პრიზიორი - 1979 წელი მე-3 ადგილი, 1986 წელი მე-3 ადგილი.

მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის - 1975 წელი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ორგზის პრიზიორი - 1979 წელი მე-2 ადგილი, 1983 წელი მე-3 ადგილი.

საბჭოთა კავშირის ოთხგზის პრიზიორი - 1979 წელი მე-3 ადგილი, 1980 წელი მე-2 ადგილი, 1982 წელი მე-3 ადგილი, 1986 წელი მე-2 ადგილი.

მსოფლიო უნივერსიადის ორგზის პრიზიორი - 1977 წელი მე-3 ადგილი, 1981 წელი მე-2 ადგილი.

საქართველოს 1983 წლის საუკეთესო სპორტსმენი.

ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ორდენოსანი.

ქუთაისის მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი.

„შავ ავაზად“ წოდებული. სწორედ ამ სათაურით დაიბეჭდა 2015 წელს პროფესორ ზურაბ ჯავახაძის წიგნი - თეიმურაზ აფხაზავაზე.

ნონა: 74-82-90 კილოგრამი.

მწვრთნელები: იულონ (ილია) ბობოხიძე, ესტატე გოგლიჩიძე, ჯემალ კოსტავა.



თემო ყაზარაშვილი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1959 წლის 7 დეკემბერს ახმეტაში.

მსოფლიოს ჩემპიონი 1982 წელი.
მსოფლიოს თასის მფლობელი, როგორც პირადში ისე გუნდურში - 1980 წელი.

მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი - 1981 წელი.

საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი - 1982-1984 წწ.

მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის - 1979 წელი.

მსოფლიოს პრიზიორი - 1983 წელი მე-3 ადგილი.

ევროპის პრიზიორი - 1985 წელი მე-3 ადგილი.

პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირის სამგზის გამარჯვებული - 1980-1982-1985 წწ.

ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის - 1978 წელი მე-2 ადგილი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი - 1983 წელი მე-2 ადგილი.

საბჭოთა კავშირის ორგზის პრიზიორი - 1981 წელი მე-3 ადგილი, 1983 წელი მე-3 ადგილი.

გერმანიის გრან პრის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული - 1984 წელი.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

საერთაშორისო კატეგორიის ექსტრა-კლასის მსაჯი.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი - 1994 წლიდან.

ღირსების ორდენოსანი. სპორტის რაინდი.

ქალაქ რუსთავის საპატიო მოქალაქე.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ორდენის კავალერი.

საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების საპატიო წევრი.

წონა: 48 კილოგრამი

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მწვრთნელები: ომარ გუგუშაშვილი, ილია ჩხარტიშვილი.



გურამ გვედცხური

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1962 წლის 23 იანვარს ვარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში.

მსოფლიოს ჩემპიონი - 1987 წელი.

მსოფლიოს თასის მფლობელი - 1987 წელი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი - 1989 წელი.

საბჭოთა კავშირის სამგზის პრიზიორი - 1987 წელი მე-2 ადგილი, 1988 წელი მე-2 ადგილი, 1990 წელი მე-2 ადგილი.

პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებული - 1986-1988 წწ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის - 1980 წელი.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი 1993-1994 წწ.

სოფელ სართიჭალაში ფუნქციონირებს გურამ გვედცხურის სახელობის საჭიდაო დარბაზი.

წონა: 100 კილოგრამი

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მწვრთნელები: ბიჭიკო შელია, ჯონი (თამაზ) რეხვიაშვილი



მუხრან ვახტანგაძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1973 წლის 22 იანვარს ბათუმში.

მსოფლიოს ჩემპიონი -2001 წელი

ოლიმპიური პრიზიორი 2000 წელი მე-3 ადგილი.

მსოფლიოს თასის მფლობელი - 2003 წელი

მსოფლიოს თასის მფლობელი - 2004 წელი (გუნდური)

ევროპის პრიზიორი - 2003 წელი მე-3 ადგილი.

მსოფლიოს პრიზიორი

სტუდენტთა შორის - 1998 წელი მე-3 ადგილი.

საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული

2013 წელს ბათუმში გაიხსნა მუხრან ვახტანგაძის ვარსკვლავი.

ბათუმის სასპორტო სკოლის დირექტორი -2006-2015 წწ.

აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის უფროსი - 2015-2016 წწ.

საქართველოს პარლამენტის წევრი-2016-2020წწ..

ღირსების ორდენოსანი

სპორტის რაინდი, 2017 წელს ბათუმში გამოიცა ლევან ჭიოშვილის წიგნი - „მუხრან ვახტანგაძე“

ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის ორგზის კავალერი.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ვერცხლისა და ოქროს მედლის მფლობელი

2021 წელს ბათუმის სპორტის სასახლეს მიენიჭა მუხრან ვახტანგაძის სახელი.

წონა: 85-84 კილოგრამი

მწვრთნელები: გოდერძი ბოლქვაძე, ჯონი (თამაზ) რეხვიაშვილი



დავით ბედინაძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1983 წლის 2 თებერვალს ბათუმში.

მსოფლიოს ჩემპიონი - 2007 წელი

მსოფლიოს თასის მფლობელი - 2008 წელი

მსოფლიოს პრიზიორი - 2006 წელი მე-2 ადგილი

ევროპის ორგზის პრიზიორი - 2005 წელი მე-3 ადგილი, 2006 წელი მე-2 ადგილი.

მსოფლიოს პრიზიორი ახალგაზრდებს შორის - 2003 წელი მე-3 ადგილი

ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის 2005 წელი მე-3 ადგილი

ევროპის პრიზიორი ჭაბუკთა შორის-2001 წელი მე-3 ადგილი 2015 წელს ბათუმში გაიხსნა დავით ბედინაძის სახელობის ვარსკვლავი.

წონა: 55-60 კილოგრამი

მწვრთნელები: ნოდარ ჭანუყვაძე, ვაჟა კრავეიშვილი



რამაზ ნოზაძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1983 წლის 16
ოქტომბერს თბილისში

მსოფლიოს ჩემპიონი - 2007
წელი

ევროპის ორგზის ჩემპიონი -
2003-2007 წწ.

ოლიმპიური პრიზიორი-2004
წელი მე-2 ადგილი

მსოფლიოს თასის ორგზის
მფლობელი-2003-2004 წწ.

მსოფლიოს პრიზიორი - 2008
წელი მე-3 ადგილი

მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის-2003 წელი

ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის- 2003 წელი

ევროპის თასის მფლობელი - 2004 წელი

მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული

ვახტანგ გორგასლის სახელობის მედლის კავალერი.

2007 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი.

წონა: 96 კილოგრამი

მწვრთნელი: ოთარ ტატიშვილი



ნუგზარ წურჭუშია

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1997 წლის 25 მარტს ხობში

მსოფლიოს ჩემპიონი -2019 წელი

მსოფლიოს სამგზის პრიზიორი-2018 წელი მე-3 ადგილი, 2021 წელი მე-3 ადგილი, 2022 წელი მე-2 ადგილი

ევროპის სამგზის პრიზიორი-2018 წელი მე-3 ადგილი, 2020 წელი მე-3 ადგილი, 2022 წელი მე-2 ადგილი

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი 23 წლამდელთა შორის-2018 წელი

ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის-2016 წელი.

ევროპის პრიზიორი კადეტთა შორის - 2014 წელი მე-3 ადგილი

მსოფლიოს პრიზიორი ახალგაზრდებს შორის -2015 წელი მე-2 ადგილი

ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის -2015 წელი მე-3 ადგილი

მსოფლიოს პრიზიორი ახალგაზრდებს შორის- 2016 წელი მე-3 ადგილი

ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის - 2017 წელი მე-3 ადგილი

უკრაინის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული - 2021 წელი საქართველოს 2019 წლის საუკეთესო სპორტსმენი

ნონა: 42-46-50-55 კილოგრამი

მწვრთნელები: მამუკა ყორშია, ბაკურ ბუკია, სურაჯი გვასალია



ლაშა გობაძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1994 წლის 10 იანვარს
სულაში

მსოფლიოს ჩემპიონი - 2019
წელი

მსოფლიოს ორგზის პრიზი-
ორი-2015 წელი მე-3 ადგილი,
2021 წელი მე-2 ადგილი

ევროპის პრიზიორი-2014 წელი
მე-2 ადგილი

ევროპის ორგზის ჩემპიონი 23
წლამდეელთა შორის 2015-2016
წწ.

ირანის (ტახტის) საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული-2015
წელი

თურქეთის (ემრეს) საერთაშორისო ტურნირის ორგზის
გამარჯვებული -2016-2018 წწ.


ბაქოს ოქროს გრან პრის გამარჯვებული - 2021 წელი

თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი-2018 წელი

საქართველოს 2019 წლის საუკეთესო სპორტსმენი.

წონა: 80-82-87 კილოგრამი

მწვრთნელი: ლევან შავაძე



შალვა
ჩიხლაძე (1912-1997)
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1912 წლის 12 ივლისს ქუთაისში
ოლიმპიური პრიზიორი-1952 წელი მე-2 ადგილი
საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი-1936-1946-1949-1950 წწ.
ამიერკავკასიის ჩემპიონი-1934 წელი

უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული -1951 წელი

საბჭოთა კავშირის ექვსგზის პრიზიორი - 1935 წელი მე-2 ადგილი, 1937 წელი მე-3 ადგილი, 1941 წელი მე-3 ადგილი, 1944 წელი მე-2 ადგილი, 1947 წელი მე-2 ადგილი, 1951 წელი-მე-2 ადგილი

საბჭოთა კავშირის „დინამოს“ ოთხგზის გამარჯვებული - 1946-1948-1949-1950 წწ


საბჭოთა კავშირის ორგზის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში -1946-1947 წწ. მე-3 ადგილი

მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, მიღებული ქონდა საბრძოლო ჭილდოები. ჭიდაობა დაიწყო გამოჩენილი სახალხო თულავნის კოლია ქვარიანის მიბაძვით...

სპორტის დამსახურებული ოსტატი


წონა:87 კილოგრამი

მწვრთნელები: გიორგი ქავთარაძე, ვახტანგ კუხიანიძე



რომან ძნელაძე (1933-1966)
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1933 წლის 1 სექტემბერს თბილისში
ოლიმპიური პრიზიორი - 1956 წელი მე-3 ადგილი
საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტაკადემიის ჩემპიონი - 1956 წელი
საბჭოთა კავშირის პრიზიორი - 1952 წელი მე-3 ადგილი
დაჯილდოებული იყო მედლით- „შრომითი მამაცობისთვის“
წონა: 62 კილოგრამი
სპორტის დამსახურებული ოსტატი
მწვრთნელები: ნერსეს აკოფოვი, პეტრე იორდანიშვილი



ომარ გეგაძე (1939-2021)

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1939 წლის 28 ივლისს თბილისში

მსოფლიოს პრიზიორი - 1962 წელი მე-2 ადგილი

საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი - 1962-1964 წწ.

პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებული-1963-1968 წწ.

ამიერკავკასიის ჩემპიონი - 1957 წელი.

საბჭოთა კავშირის პრიზიორი - 1960 წელი მე-3 ადგილი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის - 1957 წელი

პოლონეთის (1959), უნგრეთის (1960 წელი), ბულგარეთის (1964) საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

საბჭოთა კავშირის „შრომითი რეზერვების“ სპარტაკიადის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში -1956 წელი

სპორტის დამსახურებული ოსტატი

წონა: 52-57 კილოგრამი

მწვრთნელები: ლეონიდ ძეკონსკი, ივანე ალიხანოვი, გურამ დათიაშვილი.



დავით გვანცელაძე
(1937-1984)

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1937 წლის 28 მარტს
ბათუმში

ოლიმპიური პრიზიორი - 1964
წელი მე-3 ადგილი

მსოფლიოს პრიზიორი - 1963
წელი მე-2 ადგილი

საბჭოთა კავშირის ხუთგზის
ჩემპიონი - 1960-1962-1964-
1965-1966 წწ.

საბჭოთა კავშირის ხალხთა
სპორტაკადემიის პრიზიორი-1963
წელი მე-2 ადგილი

პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირის სამგზის
გამარჯვებული 1962-1963-1964 წწ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის-1955 წელი

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების
მთავარი მწვრთნელი -1971-1972წწ.

საქართველოს სპორტკომიტეტის ორთაბრძოლების სამმართვე-
ლოს უფროსი-1980-1981 წწ.

სპორტის დამსახურებული ოსტატი

წონა: 70-78 კილოგრამი

მწვრთნელები: აკაკი მიმინოშვილი, პეტრე იორდანიშვილი.



ომარ ბლიაძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1942 წლის 31 მარტს
თბილისში

მსოფლიოს პრიზიორი - 1969

წელი მე-2 ადგილი

ევროპის ჩემპიონი - 1968 წელი

ევროპის პრიზიორი - 1972

წელი მე-2 ადგილი

საბჭოთა კავშირის ხალხთა

სპორტაკადის ორგზის პრიზიორი

- 1971 წელი მე-2 ადგილი, 1976

წელი-მე-2 ადგილი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

-1968 წელი

საბჭოთა კავშირის პრიზიორი -1965 წელი მე-2 ადგილი
ჩეხოსლოვაკიის (1965 წელი), ბულგარეთის (1967 წელი), იაპონიის
(1968 წელი), უნგრეთის (1968 წელი), თბილისის (1973წელი)
საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.


საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ღირსების ორდენოსანი.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

წონა: 82-87-90 კილოგრამი

მწვრთნელი: ლევ კაპიტანოვი



**შოთა მორჩილაძე
(1951-2004)**

ბერძნულ-რომაული წიდაობა

დაიბადა 1951 წლის 15 თებერვალს თბილისში
ევროპის ჩემპიონი - 1974 წელი

მსოფლიოს ორგზის პრიზიორი - 1973 წელი მე-3 ადგილი, 1974 წელი მე-2 ადგილი

ევროპის პრიზიორი -1973 წელი მე-3 ადგილი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი-1973 წელი

მსოფლიო უნივერსიალის ჩემპიონი -1973 წელი.

საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი 1977 წელი

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკაიდის პრიზიორი -1975 წელი მე-3 ადგილი.

საბჭოთა კავშირის შვიდგზის პრიზიორი -1970 წელი მე-3 ადგილი, 1974 წელი- მე-2 ადგილი,

1975 წელი მე-2 ადგილი, 1977 წელი მე-2 ადგილი, 1978 წელი მე-3 ადგილი, 1980 წელი მე-2 ადგილი, 1981 წელი მე-2 ადგილი.

საერთაშორის კლასის სპორტის ოსტატი.

წონა : +100 კილოგრამი.

მწვრთნელები: კარლო ჯოჯუა, ვლადიმერ მაისურაძე.



იოსებ ბერიშვილი (1953-2022)

ბერძნულ - რომაული წიდაობა

დაიბადა 1953 წლის 14 ოქტომბერს
ონის რაიონის სოფელ გლოლაში.

მსოფლიოს პრიზიორი - 1974
წელი მე-3 ადგილი.

ევროპის ორგზის პრიზიორი - 1974
წელი მე-3 ადგილი, 1976 წელი მე-2
ადგილი.

ევროპის თასის მფლობელი -
1976 წელი

საბჭოთა კავშირის ორგზის
ჩემპიონი - 1976-1977 წწ.

პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ორგზის
გამარჯვებული 1974-1977 წწ.

საბჭოთა კავშირის ორგზის პრიზიორი -1974 წელი მე-2 ადგილი,
1978 წელი მე-3 ადგილი.


შვედეთის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული -1978 წელი.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

წონა: 74,82 კილოგრამი.

მწვრთნელები: ფარნაოზ მაჩხანელი, ვლადიმერ მაისურაძე, დავით
დავითაია.



თენგიზ თედორაძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1967 წლის 5 ივლისს ბათუმში

მსოფლიოს პრიზიორი -1993

წელი მე-3 ადგილი

ევროპის პრიზიორი -1993

მედი მე-3 ადგილი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი-1990 წელი.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის -1985-1986 წწ.

ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის -1986 წელი.

საბჭოთა კავშირის პრიზიორი- 1987 წელი მე-3 ადგილი.

2000 წლიდან წარმატებით გამოდიოდა ჯერ რაგბიში, შემდეგ შერეულ ორთაბრძოლებში (MMA) „გლადიატორის“ ფსევდონიმით.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

წონა: 90,100 კილოგრამი

მწვრთნელები; დავით დავითაია, ჯონი (თამაზ) რეხვიაშვილი.



ბაკურ გოგიტიძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1973 წლის 9
ოქტომბერს თბილისში.

მსოფლიოს პრიზიორი-1994
წელი მე-2 ადგილი

მსოფლიოს ჩემპიონი ახალ-
გაზრდებს შორის - 1993 წელი.


საბჭოთა კავშირის ორგზის
პრიზიორი ახალგაზრდებს შორის
-1990 წელი მე-2 ადგილი, 1991
წელი მე-3 ადგილი.

საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი.
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი -
2004-2005 წწ.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი
-2012 წლიდან.

წონა: 100 კილოგრამი

მწვრთნელი: აკაკი თავართქილაძე.



რევაზ ლაშხი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1986 წლის 27 მაისს ბორჯომში.

ოლიმპიური პრიზიორი -
2012 წელი - 2-ე ადგილი
ევროპის ჩემპიონი - 2011
წელი.

მსოფლიოს პრიზიორი
ახალგაზრდებს შორის -2005
წელი მე-2 ადგილი

ევროპის პრიზიორი ჭაბუკთა შორის - 2004 წელი მე-2 ადგილი.
მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების გამარჯვებული - 2005
წელი.

უნგრეთის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული -2011 წელი.

წონა: 55-60 კილოგრამი,

მწვრთნელები: გიორგი რაზმაძე, ოთარ ტატიშვილი



ლერი აბულაძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1999 წლის 19
იანვარს ხულოში
ევროპის ჩემპიონი -2022
წელი.

მსოფლიოს ორგზის პრი-
ზიორი - 2021 წელი მე-3
ადგილი, 2022 წელი მე-2
ადგილი

ევროპის პრიზიორი -2021
წელი მე-3 ადგილი

მსოფლიოს ჩემპიონი 23
წლამდე შორის -2021
წელი

ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის -2017 წელი.

მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის -2016 წელი.

ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის -2015 წელი.

წონა: 54-60-63 კილოგრამი

მწვრთნელები: ავთანდილ აბულაძე, ზაზა ჯიბლაძე.



აკაკი ჩაჩუა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1969 წლის 16 სექტემბერს
სამტრედიაში.

ოლიმპიური პრიზიორი -2000

წელი მე-3 ადგილი

ევროპის ორგზის პრიზიორი -1997

წელი მე-3 ადგილი, 1999 წელი მე-2

ადგილი

პოდუბნის სახელობის საერთა-

შორისო ტურნირის გამარჯვებული

-1993 წელი.

ნორვეგიის გრან პრის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული
-1997 წელი.

ფინეთის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი -1997 წელი.

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი-1989
წელი.

მსოფლიოს ჩემპიონი ვეტერანთა შორის-2019 წელი.

ღირსების ორდენოსანი.

წონა: 63 კილოგრამი

მწვრთნელი: ოთარ ტატიშვილი.



გიორგი ჭინჭველაშვილი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1972 წლის 18 იანვარს ქუთაისში.

ევროპის პრიზიორი -1997 წელი მე-2 ადგილი

მსოფლიოს უნივერსიადის პრიზიორი -1998 წელი მე-2 ადგილი

„მეგობრობის“ საერთაშორისო შეჯიბრების პრიზიორი -1998 წელი მე-3 ადგილი

საფრანგეთის (1989 წელი), შვედეთის (1991 წელი), ფინეთის (1997 წელი), ირანის (1998 წელი), უზბეკეთის (2001 წელი) საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

წონა: 69-76 კილოგრამი

მწვრთნელები: ელგუჯა მარუაშვილი, ოთარ ტატიშვილი



ხვიჩა ბიჩინაშვილი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1974 წლის 28 იანვარს გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში.

ევროპის პრიზიორი -1998 წელი მე-2 ადგილი.

მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის-1993 წელი.

მსოფლიოს ჩემპიონი სტუდენტთა შორის -1998 წელი.

ფინეთის (1997 წელი) უზბეკეთის (1997-1998 წწ), ირანის (1998 წელი), საფრანგეთის (2000 წელი), იტალიის(2000 წელი), თბილისის (1997-1998-1999 წწ) საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

წონა: 74-76 კილოგრამი.

მწვრთნელები: ჯონი (თამაზ) რეხვიაშვილი, კობა მოხევიშვილი



ირაკლი ქიკაბიძე

ბერძნულ-რომაული ციდაობა

დაიბადა 1979 წლის 15 სექტემბერს თოთში.

ევროპის პრიზიორი -2001 წელი მე-2 ადგილი

ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის -1999 წელი.

მსოფლიოს თასის მფლობელი -2004 წელი.


მსოფლიოს პრიზიორი ახალგაზრდებს შორის -1999 წელი მე-2 ადგილი.

ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის -1998 წელი მე-3 ადგილი.

მსოფლიოს თასის პრიზიორი - 2003 წელი მე-3 ადგილი.

წონა: 54,55-58-60 კილოგრამი.

მწვრთნელი: ვილიამ ხარაზოვი.



ბადრი ხოსოია

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1979 წლის 24 სექტემბერს ქუთაისში.

ევროპის ჩემპიონი -2002 წელი
მსოფლიოს ორგზის პრიზიორი
- 2002 წელი მე-2 ადგილი, 2007
წელი მე-3 ადგილი

ევროპის ორგზის პრიზიორი -2005
წელი მე-3 ადგილი, 2008 წელი მე-2
ადგილი.

მსოფლიოს თასის მფლობელი -2004 წელი.

ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის -1999 წელი.

მსოფლიოს პრიზიორი ახალგაზრდებს შორის -1998 წელი მე-3
ადგილი

მსოფლიოს თასის პრიზიორი -2003 წელი მე-2 ადგილი.

მსოფლიოს პრიზიორი ჭაბუკთა შორის -1995 წელი მე-2 ადგილი.

ირანის (ტახტის) 1999 წლის, აშშ-ს (შულცის) 2000 წლის,
საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

2002 წელს ევროპის ჩემპიონატზე დასახელებული იქნა საუკეთესო
ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავედ.

წონა: 60 -70-74-77-84 კილოგრამი.

მწვრთნელები: ჯემალ კოსტავა, დავით დავითაია.



გიორგი კოლუაშვილი
ბერძნულ-რომაული ტიდაობა

დაიბადა 1969 წლის 2 აპრილს ქუთაისში.

ოლიმპიური პრიზიორი -1992 წელი მე-3 ადგილი

მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის -1989 წელი

ევროპის ორგზის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის -1987-1988 წწ.

მსოფლიოს თასის ორგზის მფლობელი -1991-1992 წწ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის-1989 წელი.
ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის - 1988 წელი მე-2 ადგილი

(1993 წლიდან გამოდის რუსეთის სახელით)

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი - 1993-1994-1997-1998-1999 წწ.

ევროპის სამგზის ჩემპიონი - 1995-1996-2002 წწ.


მსოფლიოს პრიზიორი - 1995 წელი მე-3 ადგილი

ევროპის პრიზიორი - 2000 წელი მე-2 ადგილი

რუსეთის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი - 2006 წლიდან.

ნონა: 90-96-97 კილოგრამი

მწვრთნელები: ვიტალი ალავიძე, ჯემალ კოსტავა, ვიქტორ მამიაშვილი.



ალექსანდრე დობტურიშვილი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1980 წლის 22
მარტს გარდაბნის რაიონის
სოფელ სართიჭალაში.

ოლიმპიური ჩემპიონი
-2004 წელი.

ევროპის ჩემპიონი -2001
წელი

აზიის ჩემპიონი -2004 წელი.

ევროპის პრიზიორი
ახალგაზრდებს შორის 1999
წელი მე-3 ადგილი

ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის - 2000 წელი
მსოფლიოს პრიზიორი ახალგაზრდებს შორის - 2000 წელი მე-3
ადგილი.

(2003 წლიდან გამოდიოდა უზბეკეთის სახელით)

წონა: 69-74-76 კილოგრამი

მწვრთნელი: ჯონი (თამაზ)რეხვიაშვილი



მირიან გიორგაძე

ბერძნულ - რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1976 წლის 15 მარტს თერჯოლაში.

ევროპის პრიზიორი - 2005 წელი 3-ე ადგილი.

მსოფლიოს თასის მფლობელი - 2004 წელი.

მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის - 1992 წელი.

მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის - 1995 წელი.

ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის - 1993 წელი 3-ე ადგილი.

ბულგარეთის (2001 წელი), უზბეკეთის (2001 წელი), ირანის (1996-2001 წწ.), თბილისის (2001-2002-2003 წწ.), საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

ევროპის ჩემპიონი ქამრიან ჭიდაობაში - 2007 წელი.

წონა: 120 კილოგრამი.

მწვრთნელები: ვაჟა კრავეიშვილი, შაქრო ბერძენიშვილი.



მანუჩარ ცხადია

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1985 წლის 19 მარტს ხობში.

ოლიმპიური თამაშების პრიზიორი - 2012 წელი 3-ე ადგილი.

მსოფლიოს ორგზის პრიზიორი - 2009 წელი 2-ე ადგილი, 2011 წელი 2-ე ადგილი.

უნგრეთის გრან პრის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული - 2009 წელი.

საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის პრიზიორი.


საქართველოს 2009 წლის საუკეთესო სპორტსმენი.

ღირსების ორდენისა და მედლის კავალერი.

ხობის რაიონის საპატიო მოქალაქე.

წონა: 66-74 კილოგრამი

მწვრთნელები: მამუკა ყორშია, ვაჟა კრავეიშვილი.



რამაზ ზოიძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1996 წლის 13 თებერვალს ბათუმში.

მსოფლიოს პრიზიორი - 2021 წელი 3-ე ადგილი.

მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის - 2012 წელი.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის - 2015-2016 წწ.

ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის - 2012 წელი.

ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის - 2016 წელი.

ევროპის სამგზის ჩემპიონი 23 წლამდელებს შორის - 2017-2018-2019 წწ.

მსოფლიოს პრიზიორი 23 წლამდელებს შორის - 2018 წელი 2-ე ადგილი.

წონა: 67-72 კილოგრამი

მწვრთნელები: მარადი არძენაძე, ვლადიმერ გეგეშიძე.



აივენგო რიკაძე
ბერძნულ-რომაული
ჭიდაობა

დაიბადა 1998 წლის 12 აპრილს გარდაბანში.

ევროპის პრიზიორი - 2021 წელი 3-ე ადგილი.

ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის - 2015 წელი.

მსოფლიოს ჩემპიონი 23 წლამდელებს შორის - 2021 წელი.

მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის - 2021 წელი.

ევროპის პრიზიორი 23 წლამდელთა შორის - 2021 წელი 3-ე ადგილი.

მსოფლიოს პრიზიორი 23 წლამდელთა შორის - 2019 წელი 3-ე ადგილი.

წონა: 63-82 კილოგრამი

მწვრთნელი: გურამ ცალუღელაშვილი



სოსო ჯაბიტძე
ბერძნულ-რომაული
ჭიდაობა

დაიბადა 1987 წლის 14 აგვისტოს ბაღდათის რაიონის სოფელ ფერსათში.


ევროპის პრიზიორი - 2010 წელი 3-ე ადგილი.

ჩინეთის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი - 2012 წელი 3-ე ადგილი.

23 წლამდელებს შორის საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი - 2016 წლიდან.

წონა: 96-98 კილოგრამი

მწვრთნელები: ვაჟა კრავეიშვილი, ბეგი დარჩია.



გურამ ფერსელიძე
ბერძნულ-რომაული
ჭიდაობა

დაიბადა 1985 წლის 16 ოქტომბერს ბათუმში.
ევროპის პრიზიორი - 2013 წელი 3-ე ადგილი.
საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი.
წონა: 120 კილოგრამი
მწვრთნელები: ზაზა ჭიბლაძე, ვაჟა კრავეიშვილი.



გელა პაპაშვილი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1969 წლის 14 აპრილს თბილისში.

მსოფლიოს პრიზიორი - 1994 წელი 3-ე ადგილი.

ევროპის პრიზიორი - 1993 წელი 3-ე ადგილი.

მსოფლიოს ჩემპიონი „ლოკომოტიველთა“ შორის - 1989 წელი.

ფინეთის გრან პრის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული - 1992 წელი.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

წონა: 48 კილოგრამი.

მწვრთნელები: ჯუმბერ გაფრინდაშვილი, ოთარ ტატიშვილი.



გიორგი ცირეკიძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1986 წლის 9 აგვისტოს ქუთაისში.

ევროპის პრიზიორი - 2014 წელი 2-ე ადგილი.

ბაქოსა და თბილისის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული - 2013 წელი.

პარიზის გრან პრის გამარჯვებული - 2014 წელი.

სომხეთის (2015 წელი), უნგრეთის დიდი პრიზის (2016 წელი).

სტამბოლის (2016-2017 წწ.).

საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი.

წონა: 80-85 კილოგრამი

მწვრთნელები: ელგუჯა მარუაშვილი, ვლდიმერ ადვიშვილი.



ვლადიმერ გეგეშიძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1985 წლის 10 თებერვალს თბილისში.

ევროპის პრიზიორი - 2013 წელი 2-ე ადგილი.

ევროპის ორგზის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის -2003-2004 წლები.

ევროპის პრიზიორი ჭაბუკთა შორის - 2002 წელი 2-ე ადგილი.
ბულგარეთის (2010 წელი), თბილისის (2010 წელი), ოლეგ კარავაევის (2012 წელი), ნიკოლა პეტროვის (2012 წელი), სახელობის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

მსოფლიოს მოზარდთა თამაშების გამარჯვებული - 2002 წელი.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

წონა: 85-84 კილოგრამი

მწვრთნელი: ოთარ ტატიშვილი



გოგა გოგიბერაშვილი
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1990 წლის 28
სექტემბერს.
სამტრედიის რაიონის
სოფელ დიდ ჭიხაიშში.
ევროპის პრიზიორი - 2017
წელი 3-ე ადგილი.
უკრაინის საერთაშორისო
ტურნირის გამარჯვებული -
2017 წელი.

საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის პრიზიორი.
წონა: 66-72 კილოგრამი
მწვრთნელები: მამუკა სტურუა, შმაგი სახლთხუციშვილი, ვლადიმერ
ადეიშვილი.



ზურაბ დათუნაშვილი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1991 წლის 18 ივნისს თბილისში.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი - 2021-2022 წწ.

ევროპის სამგზის ჩემპიონი - 2016, 2017, 2021 წწ.

ოლიმპიური პრიზიორი - 2020 წელი 3-ე ადგილი.

მსოფლიოს პრიზიორი ახალგაზრდებს შორის - 2011 წელი 2-ე ადგილი.

ევროპის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის - 2011 წელი 3-ე ადგილი.

პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული - 2016 წელი.

(2020 წლიდან გამოდის სერბეთის სახელით)

წონა: 74-77-80-82-84-87 კილოგრამი

მწვრთნელები: ვილიამ ხარაზოვი, სტოიან დობრევი.



ამირან შვააძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

დაიბადა 1993 წლის 22
სექტემბერს ხულოს რაიონის
სოფელ ირემაძეებში.
ევროპის პრიზიორი - 2020
წელი 3-ე ადგილი.

ევროპის ორგზის პრიზიორი კადეტებს შორის - 2009 წელი - 3-ე
ადგილი, 2010 წელი 3-ე ადგილი.

წონა: 46-54-60 კილოგრამი

მწვრთნელები: ლევან შვააძე, ფრიდონ შვააძე, ტარიელ შვააძე.




იური ლომაძე
ბერძნულ-რომაული
ჭიდაობა

დაიბადა 1996 წლის
5 დეკემბერს ოზურგეთში.
ევროპის პრიზიორი
- 2020 წელი 2-ე
ადგილი.

საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი.

წონა: 72 კილოგრამი

მწვრთნელები: ზურაბ ზურაბიანი, ვალერი ზურაბიანი, ბექა როყვა.



დავით ჩხარტიშვილი

ბერძნულ-რომაული

ჭიდაობა

დაიბადა 1996 წლის 27
სექტემბერს ოზურგეთში.

ევროპის პრიზიორი -
